სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

01/10/2024

MES 1 24 0001242678

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით პრაქტიკული მოსინჯვის ჩატარების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 02 ივლისის №42/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის, „2024 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით, აპლიკანტთა შერჩევის პერიოდის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 16 აგვისტოს MES 8 24 0000982503 ბრძანების, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 08 დეკემბრის N 01-05-04/181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე.

ვბრძანებ:

1.დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2024 წელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისათვის პრაქტიკული მოსინჯვის კომისიის შემადგენლობა №1 დანართის შესაბამისად.

2.საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტებისათვის პრაქტიკული მოსინჯვა ჩატარდეს 2024 წლის 04 ოქტომბერს 11:30

საათიდან 17:00 საათამდე, (მის.: თბილისი, მ. კოსტავას 68, სტუ-ის I კორპუსი) და 09 ოქტომბერს 12:00-დან 12:40 საათამდე (მის.: თბილისი, მ. კოსტავას 68, სტუ-ის I კორპუსი).

3.პრაქტიკული მოსინჯვა ჩატარდეს აპლიკანტის მიერ შერჩეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი დონის შესაბამისი თითოეული აქტივობის პრაქტიკული მოსინჯვის გზით.

4.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფა დაევალოს სტუ-ს სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროსს ზაზა ბუაჩიძეს.

5.კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სტუ-ის ვიცე-რექტორს თამარ წერეთელს.

6.ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტს.

7.ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

8.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი
წერეთელი თამარ